ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ № 12

წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია: 2014 წლის 9 იანვარი

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

1.1. ერთის მხრივ, სსიპ „მწერალთა სახლი" (შემდეგში „შემსყიდველად" წოდებული) წარმოდგენილი დირექტორ-მენეჯერის ნატალია ლომოურის სახით, და მეორე მხრივ, შპს „კომპაუდ (შემდეგში „მიმწოდებლად" წოდებული) მისი დირექტორის მინდობილი პირის ნუგზარ ხიჯაკაძ სახით, რომელიც მოქმედებს წესდების საფუძველზე, სახელმწიფო შესყიდვის კანონმდებლობ საფუძველზე გამარტივებული შესყიდვის ფორმით ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

2. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

2.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" (შემდგომ "ხელშეკრულება" ნიშნავს "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზ შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებულ ხელშეკრულებას, რომელ ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებით დ ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

2.2 "შემსყიდველი ორგანიზაცია" (შემდგომ "შემსყიდველი") ნიშნავს ორგანიზაცია (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს მომსახურების შესყიდვას;

2.3 "მიმწოდებელი" ნიშნავს იურიდიულ პირს, რომელმაც „შემსყიდველთან" გააფორ ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ;

2.4 "ხელშეკრულების ღირებულება" ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდ გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებების სრულყოფილად შესრულებისთვის;

2.5 "დღე", "კვირა", "თვე" ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს, თ ხელშეკრულებით სხვა პირობა არ არის გათვალისწინებული.

3. ხელშეკრულების საგანი

3.1. **სსიპ „მწერალთა სახლი"-ს 2013 წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი – სახელმწიფ ბიუჯეტის სახსრებით აუდიტორული მომსახურების შესყიდვა (კლასიფიკატორის CPV-79212000)**

4. ხელშეკრულების ღირებულება

4.1 გასაწევი მომსახურების საერთო ღირებულება შეადგენს 3500 (სამიათასხუთას ლარს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი გადასახად გათვალისწინებით.

5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1 „შემსყიდველს" უფლება აქვს:

5.1.1 „მიმწოდებლისგან" მოითხოვოს მომსახურების ხარისხიანად გაწევა მიმდინარე წლ 9 იანვრიდან 15 თებერვლამდე პერიოდში;

5.1.2 „მიმწოდებლისგან" მოითხოვოს წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილ პირობების დაცვა;

5.2 „შემსყიდველი" ვალდებულია:

5.2.1 გადასცეს „მიმწოდებელს" ყველა საჭირო დოკუმენტაცია, რომელიც შეეხება დ დაკავშირებულია აუდიტის საგანთან;

5.2.2. შეუქმნას „მიმწოდებელს" აუდიტის ჩატარებისათვის საჭირო სამუშაო პირობები;

5.2.3 უზრუნველყოს აუდიტური შემოწმებით გამოვლენილი ხარვეზების გამოსწორება;

5.3 „მიმწოდებელს" უფლება აქვს:

5.3.1 მოქმედი კანონმდებლობის, ნორმებისა და სტანდარტების, აგრეთვე „შემსყიდველთ დადებული ხელშეკრულების პირობების საფუძველზე განსაზღვროს აუდიტის ჩატარებ ფორმები და მეთოდები;

5.3.2 „შემსყიდველისგან" მოითხოვოს აუდიტის საგანთან დაკავშირებული ყველა საჭი დოკუმენტაციის წარმოდგენა;

5.3.3 უარი თქვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევაზე იმ შემთხვევაში, თუ „შემსყიდველი“ არ უზრუნველყოფს მისთვის აუდიტის ჩასატარებლად საჭირო დოკუმენტაციის წარმოდგენას;

5.3.4 მოითხოვოს გაწეული მომსახურების ღირებულების სრული და დროული ანაზღაურება;

5.3.5 „შემსყიდველისგან“ მოითხოვოს ხელშეკრულების პირობების დაცვა;

5.4 „მიმწოდებელი“ ვალდებულია:

5.4.1 ხელშეკრულებით დადგენილ ვადებში უზრუნველყოს ნაკისრი ვალდებულებების შესრულება;

5.4.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევისას დაიცვას საქართველოს კანონმდებლობა, საქართველოში მოქმედი აუდიტური სტანდარტები და ხელშეკრულებით დადგენილი პირობები;

5.4.3 „შემსყიდველს“ აცნობოს აუდიტური შემოწმებისას გამოვლენილი ხარვეზებისა და ნაკლოვანებების შესახებ;

5.4.4 საიდუმლოდ შეინახოს აუდიტური შემოწმებისას (მომსახურების გაწევისას) მიღებული ყველა სახის ინფორმაცია.

6. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

6.1 მომსახურება გაწეულად ჩაითვლება „მიმწოდებლის“ მიერ აუდიტორული დასკვნისა და ანგარიშის წარმოდგენისა და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

6.2 მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერის უფლება ეძლევა ამ ხელშეკრულების ხელის მომწერ პირებს.

7. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

7.1 „მიმწოდებლის“ მიერ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებისა და მასში შემავალი დოკუმენტების პირობების შესრულებაზე "შემსყიდველის" მხრიდან კონტროლს განახორციელებს „შემსყიდველის“ ადმინისტრაცია.

8. გასაწევი მომსახურების ხარისხი და გარანტია

8.1 „მიმწოდებელი“ იძლევა გარანტიას, რომ იგი უზრუნველყოფს მომსახურების მაღალხარისხოვნად გაწევას და რომ მისი ქმედებით ზარალი არ მიადგება „შემსყიდველს“.

9. ანგარიშსწორება

9.1 ანგარიშსწორება „მიმწოდებელთან“ განხორციელდება ლარებში.

9.2 ანგარიშსწორება მოხდება წარმოდგენილი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 5 საბანკო დღის განმავლობაში.

9.3 ანგარიშსწორების ფორმა იქნება უნაღდო. გადარიცხვა მოხდება „მიმწოდებლის“ საბანკო ანგარიშზე.

10. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობაზე

10.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის, აგრეთვე ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველი ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0.1%-ის ოდენობით.

11.2 იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამთეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 10 (ათი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

10.3 პირგასამთეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისგან.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1 ხელშეკრულების დამდებ არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები;

11.2 ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრის შეცვლა ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში დასაშვებია გასაწევი მომსახურების განსაზღვრული ფასის გაზრდის ან შემცირების, ინფლაციის მაღალი დონის, სავალუტო კურსის მნიშვნელოვანი ცვლილების, საგადასახადო რეჟიმის შეცვლისა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლში გათვალისწინებულ შემთხვევაში, თუ აღნიშნული ცვლილებები არ გამოწვევს ხელშეკრულების პირობების გაუარესებას შემსყიდველი ორგანიზაციისათვის;

11.3 ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ღირებულების გაზრდის შემთხვევაში მისმა ოდენობამ არ უნდა გადააჭარბოს ხელშეკრულების ღირებულების 10%-ს;

11.4 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს, „შემსყიდველი" არ არის ვალდებული წარმოუდგინოს „მიმწოდებელს" რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლეთა გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა;

11.5 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

12. სუბ-კონტრაქტორები

12.1 იმ შემთხვევაში, თუ სუბ-კონტრაქტის დადების ან სუბკონტრაქტორის შეცვლის აუცილებლობა წარმოიშობა ხელშეკრულების შესრულების პროცესში, „მიმწოდებელმა" წერილობით უნდა აცნობოს „შემსყიდველს" ზემოაღნიშნულის შესახებ და მიიღოს მისგან წერილობითი თანხმობა.

12.2 ამ ხელშეკრულების ფარგლებში ყველა სუბ-კონტრაქტორთან გაფორმებული ხელშეკრულების ასლი უნდა წარედგინოს „შემსყიდველს" მისი გაფორმებიდან ერთი კვირის ვადაში.

12.3 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული არცერთი სუბ-კონტრაქტი არ ათავისუფლებს „მიმწოდებელს" ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

13. დაუძლეველი ძალა

13.1 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება დაუძლეველი გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული, როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.

13.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „დაუძლეველი ძალა" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული „შემსყიდველისა" დ/ან „ მიმწოდებლის" შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი.

13.3 დაუძლეველი გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან დაუძლეველი გარემოებების ზეგავლენისაგან.

14. მხარეთა პასუხისმგებლობა

14.1 გაწეული მომსახურების ღირებულების დროულად გადაუხდელობის შემთხვევაში, „შემსყიდველს" ერიცხება საურავი ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.1% ოდენობით;

14.2 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში „მიმწოდებლის" მხრიდან ხელშეკრულების 5.1.1 ქვეპუნქტში გათვალისწინებული ვადების დარღვევის შემთხვევაში მას დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.1% ოდენობით;

14.3 თუ „შემსყიდველი" ვერ უზრუნველყოფს „მიმწოდებლისათვის" აუდიტის საგანთან დაკავშირებული აუცილებელი ინფორმაციის მიწოდებას და სათანადო სამუშაო პირობების შექმნას, „მიმწოდებელი" იტოვებს უფლებას შეაჩეროს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება;

14.4 „მიმწოდებელს“ აუდიტური მომსახურების არასათანადოდ შესრულების შემთხვევაში ეკისრება მიყენებული ზარალის ანაზღაურების (ქონებრივი) პასუხისმგებლობა საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

15. ხელშეკრულების შეწყვეტა

15.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულებების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

15..2 ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი. აღნიშნული შეტყობინება უნდა მიეწოდოს მეორე მხარეს გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე მინიმუმ ერთი თვით ადრე.

15..3 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს „მიმწოდებელს“ დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

15..4 ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს „მიმწოდებელს“ ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.

15..5 „შემსყიდველს“ შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყეტის შესახებ აგრეთვე:

ა) თუ „შემსყიდველისათვის“ ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

15..6 ამ მუხლის მე-5 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში „შემსყიდველი“ ვალდებულია აუნაზღაუროს „მიმწოდებელს“ ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულება.

16. დავების გადაწყვეტის წესი

16.1 დავების გადაწყვეტა ხდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

17. სხვა პირობები

17.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია შედის ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ საკუთარი ვალდებულებების სრულ შესრულებამდე.

17.2 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე 2 ეგზემპლარად (ერთი შემსყიდველს, ერთი მიმწოდებელს) და ორივეს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა.

„შემსყიდველი“	*„მიმწოდებელი“*
სსიპ „მწერალთა სახლი“	*აუდიტური კომპანია „კომპაუდი“*
მის: ქ. თბილისი ივ. მაჩაბლის 13	ქ.თბილისი. აკ. წერეთლის გამზ. №95ა.
სახელმწიფო ხაზინა	საბანკო რეკვიზიტები: ს.ს. „საქართველოს ბანკი“ ა/ა №GE62BG0000000192631800,
ს/კ 205299005	ბ..კ.BAGAGE 22 ს/კ № 202385169
დირექტორ-მენეჯერი	დირექტორის მინდობილი პირი
ნ. ლომოური	ნ. ხოჯა